საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

№ 01/4558

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მიმართ თბილისში და აქვს პატივი, საელჩოს 2022 წლის 21 დეკემბრის N147/2022 ვერბალური ნოტის პასუხად, აცნობოს შემდეგი:

1965 წლის 15 ნოემბრის „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ" კონვენციასთან საქართველოს შეერთების დროს გაკეთებული დათქმების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი მიიღოს შესაბამისი დოკუმენტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საფოსტო არხების მეშვეობით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაუდასტუროს საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თავისი ღრმა პატივისცემა.

თბილისი, 2023 წლის 10 თებერვალი

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისში

Unofficial Translation

№ 01/4538

The Ministry of Foreign Affairs of Georgia presents its compliments to the Embassy of the Federal Republic of Germany in Tbilisi and in response to the Note Verbale N147/2022 of the Embassy dated 21 December 2022, has the honour to inform the following:

Taking into account the reservations made at the time of Georgia's accession to the 1965 Hague Convention on the Service Abroad of Judicial and Extrajudicial Documents in Civil or Commercial Matters, the Ministry of Justice of Georgia does not object to receiving the respective documents from the Federal Republic of Germany via postal channels.

The Ministry of Foreign Affairs of Georgia avails itself of this opportunity to renew to the Embassy of the Federal Republic of Germany in Tbilisi the assurances of its highest consideration.

Tbilisi, 10 February 2023

The Embassy of the Federal Republic of Germany
in Tbilisi